საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
საუნივერსიტეტო სადისერტაციო საბჭოს სხდომის
ოქმი N 1

02.02.2022

დისტანციურ სხდომას ესწრებოდნენ: ამირხანაშვილი ივანე, ანანიაშვილი იური, ბერულავა გიორგი, გოგიაშვილი ლიანა, დემეტრაშვილი დემური, ებრალიძე თამარ, ლომინაძე გიორგი, ნადარაია ელიზბარ, ხუციშვილი ქეთევან, შალიკაშვილი მორის, შენგელაია ალექსანდრე, ქადეიშვილი თორნიკე, ჭედია როინ, ჯობავა თამარ.

დღის წესრიგი:

1. სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის „კონფლიქტების ანალიზი და მართვა“ დოქტორანტ **იოსებ ჯაფარიძის** სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისიის დასკვნის (შეფასების) დამტკიცება და სოციალურ მეცნიერებათა დოქტორის აკადემიური ხარისხის მინიჭება;
2. ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის „მათემატიკა“ დოქტორანტ **ზვიად ყალიჩავას** სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისიის დასკვნის (შეფასების) დამტკიცება და მათემატიკის დოქტორის აკადემიური ხარისხის მინიჭება;
3. ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის „ფიზიკა“ დოქტორანტ **რომანი აბრამიშვილის** სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისიის დასკვნის (შეფასების) დამტკიცება და ფიზიკის დოქტორის აკადემიური ხარისხის მინიჭება;
4. მედიცინის ფაკულტეტის დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის „კლინიკური და ტრანსლაციური მედიცინა“ დოქტორანტ **მარიამ პეტრიაშვილის** სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისიის დასკვნის (შეფასების) დამტკიცება და მედიცინის დოქტორის აკადემიური ხარისხის მინიჭება;
5. მედიცინის ფაკულტეტის დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის „კლინიკური და ტრანსლაციური მედიცინა“ დოქტორანტ **მაია ბერიძის** სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისიის დასკვნის (შეფასების) დამტკიცება და მედიცინის დოქტორის აკადემიური ხარისხის მინიჭება;
6. მედიცინის ფაკულტეტის დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის „კლინიკური და ტრანსლაციური მედიცინა“ დოქტორანტ **ლიკა კაცელაშვილის** სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისიის დასკვნის (შეფასების) დამტკიცება და მედიცინის დოქტორის აკადემიური ხარისხის მინიჭება;
7. მედიცინის ფაკულტეტის დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის „კლინიკური და ტრანსლაციური მედიცინა“ დოქტორანტ **ნინო ინაურის** სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისიის დასკვნის (შეფასების) დამტკიცება და მედიცინის დოქტორის აკადემიური ხარისხის მინიჭება;

8. მედიცინის ფაკულტეტის დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის „კლინიკური და ტრანსლაციური მედიცინა“ დოქტორანტ **ივანე კილაძის** სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისიის დასკვნის (შეფასების) დამტკიცება და მედიცინის დოქტორის აკადემიური ხარისხის მინიჭება;
9. მედიცინის ფაკულტეტის დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის „კლინიკური და ტრანსლაციური მედიცინა“ დოქტორანტ **ნინო რუხაძის** სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისიის დასკვნის (შეფასების) დამტკიცება და მედიცინის დოქტორის აკადემიური ხარისხის მინიჭება;
10. მედიცინის ფაკულტეტის დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის „კლინიკური და ტრანსლაციური მედიცინა“ დოქტორანტ **ხათუნა დონდოლაძის** სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისიის დასკვნის (შეფასების) დამტკიცება და მედიცინის დოქტორის აკადემიური ხარისხის მინიჭება;
11. სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის „საზოგადოებრივი გეოგრაფია“ დოქტორანტ **დავით სიდამონიძის** სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისიის დასკვნის (შეფასების) დამტკიცება და საზოგადოებრივი გეოგრაფიის დოქტორის აკადემიური ხარისხის მინიჭება;
12. ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის „ფილოლოგია“ დოქტორანტ **ნატო ახალაიას** სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისიის დასკვნის (შეფასების) დამტკიცება და ფილოლოგიის დოქტორის აკადემიური ხარისხის მინიჭება;
13. ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის „ეკონომიკა“ დოქტორანტ **თამარი მერმანიშვილის** სადისერტაციო ნაშრომის რეცენზენტების და დაცვის კომისიის დამტკიცება;
14. სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის „საერთაშორისო ურთიერთობები“ დოქტორანტ **კონსტანტინე შუბითიძის** სადისერტაციო ნაშრომის რეცენზენტების და დაცვის კომისიის დამტკიცება.

მოისმინეს: საუნივერსიტეტო სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარემ ქეთევან ხუციშვილმა საბჭოს დასამტკიცებლად წარუდგინა დღის წესრიგის პროექტი.
კენჭისყრა: ხმის მიცემის დროს სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარემ ქეთევან ხუციშვილმა საბჭოს წევრებს ჰკითხა თუ ვინ იყო მომხრე, ვინ - წინააღმდეგი და თავი ხომ არავის შეუკავებია. კენჭისყრის ჩატარების შემდეგ მან განაცხადა, რომ გადაწყვეტილება მიღებულია ერთხმად.
დაადგინეს: დღის წესრიგი დამტკიცდა წარმოდგენილი სახით.

მოისმინეს: საუნივერსიტეტო სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარემ ქ. ხუციშვილმა საბჭოს დასამტკიცებლად წარუდგინა სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის „კონფლიქტების ანალიზი

და მართვა“ დოქტორანტ **იოსებ ჯაფარიძის** სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისიის დასკვნა (შეფასება) სოციალურ მეცნიერებათა დოქტორის აკადემიური ხარისხის მინიჭებისათვის.

მოისმინეს: სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისიის თავმჯდომარემ, თსუ პროფესორმა გუგული მაღრაძემ, საბჭოს მიაწოდა ინფორმაცია დისერტაციის - „საქართველოს NATO-ში ინტეგრაციის სტრატეგიული შესაძლებლობები და „უსაფრთხოების დილემის პარადიგმა“ - დაცვის პროცედურის, სამეცნიერო ღირებულების შესახებ; მან ისაუბრა დოქტორანტის გამოქვეყნებული პუბლიკაციების შესახებ, ასევე რეცენზენტების დადებით რეცენზიებზე; აღნიშნა, რომ დაცვას ესწრებოდა კომისიის 6 წევრი. წარმოდგენილი დისერტაცია შეფასდა 89,67 ქულით.

აზრი გამოთქვა: თ. ჯობავა დაინტერესდა თუ რა დროში დაწერა დოქტორანტმა დისერტაცია?

მოისმინეს: გ. მაღრაძემ აღნიშნა, რომ დოქტორანტი 6 წელი მუშაობდა თემაზე, პარალელურად ეწეოდა პრაქტიკულ საქმიანობას (მუშაობს თავდაცვის სამინისტროში).

კენჭისყრა: ხმის მიცემის დროს სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარემ ქ. ხუციშვილმა საბჭოს წევრებს ჰკითხა თუ ვინ იყო მომხრე, ვინ - წინააღმდეგი და თავი ხომ არავის შეუკავებია. კენჭისყრის ჩატარების შემდეგ ქეთევან ხუციშვილმა განაცხადა, რომ გადაწყვეტილება მიღებულია ერთხმად.

დაადგინეს: საუნივერსიტეტო სადისერტაციო საბჭოს სხდომაზე გამართული მსჯელობისა და ღია ხმის მიცემის საფუძველზე დამტკიცდა სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისიის დასკვნა (შეფასება) და მიიღეს გადაწყვეტილება **იოსებ ჯაფარიძისთვის** სოციალურ მეცნიერებათა დოქტორის აკადემიური ხარისხის მინიჭების შესახებ.

მოისმინეს: საუნივერსიტეტო სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარემ ქ. ხუციშვილმა საბჭოს დასამტკიცებლად წარუდგინა ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის „მათემატიკა“ დოქტორანტ **ზვიად ყალიჩავას** სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისიის დასკვნა (შეფასება) მათემატიკის დოქტორის აკადემიური ხარისხის მინიჭებისათვის.

მოისმინეს: სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისიის მდივანმა, თსუ ასოც. პროფესორმა თინათინ დავითაშვილმა, საბჭოს მიაწოდა ინფორმაცია დისერტაციის - „ზოგიერთი არაწრფივი სასაზღვრო ამოცანის მიახლოებითი ამოხსნის მეთოდი“ - დაცვის პროცედურის, სამეცნიერო ღირებულების და პრაქტიკული მნიშვნელობის შესახებ; მან ისაუბრა დოქტორანტის გამოქვეყნებული პუბლიკაციების შესახებ, ასევე რეცენზენტების დადებით რეცენზიებზე; აღნიშნა, რომ დაცვას ესწრებოდა კომისიის 7 წევრი. წარმოდგენილი დისერტაცია შეფასდა 97 ქულით.

აზრი გამოთქვა: ე. ნადარაიმ აღნიშნა რომ ესწრებოდა დაცვას და დოქტორანტის მიერ შესანიშნავი ნაშრომი იყო წარმოდგენილი.

კენჭისყრა: ხმის მიცემის დროს სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარემ ქ. ხუციშვილმა საბჭოს წევრებს ჰკითხა თუ ვინ იყო მომხრე, ვინ - წინააღმდეგი და თავი ხომ არავის

შეუკავებია. კენჭისყრის ჩატარების შემდეგ ქეთევან ხუციშვილმა განაცხადა, რომ გადაწყვეტილება მიღებულია ერთხმად.
დაადგინეს: საუნივერსიტეტო სადისერტაციო საბჭოს სხდომაზე გამართული მსჯელობისა და ღია ხმის მიცემის საფუძველზე დამტკიცდა სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისიის დასკვნა (შეფასება) და მიიღეს გადაწყვეტილება **ზვიად ყალიჩავასთვის** მათემატიკის დოქტორის აკადემიური ხარისხის მინიჭების შესახებ.

მოისმინეს: საუნივერსიტეტო სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარემ ქ. ხუციშვილმა საბჭოს დასამტკიცებლად წარუდგინა ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის „ფიზიკა“ დოქტორანტ **რომანი აბრამიშვილის** სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისიის დასკვნა (შეფასება) ფიზიკის დოქტორის აკადემიური ხარისხის მინიჭებისათვის.
მოისმინეს: სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისიის მდივანმა, თსუ ასოც. პროფესორმა გიორგი ციციშვილმა, საბჭოს მიაწოდა ინფორმაცია დისერტაციის - „მაგნიტური მოვლენები ნანოსითხეებში. სამატომიანი მოლეკულის ბრუნვითი იზომერიზაცია“ - დაცვის პროცედურის, სამეცნიერო ღირებულების და პრაქტიკული მნიშვნელობის შესახებ; მან ისაუბრა დოქტორანტის გამოქვეყნებული 4 პუბლიკაციის შესახებ, ასევე სამივე რეცენზენტის დადებით რეცენზიებზე; აღნიშნა, რომ დაცვას ესწრებოდა კომისიის 7 წევრი. წარმოდგენილი დისერტაცია შეფასდა 92 ქულით.
აზრი გამოთქვა: თ.ჯობავამ აღნიშნა რომ ესწრებოდა დაცვას, ყველა პროცედურა იყო დაცული. დოქტორანტმა წარმოადგინა ფუნდამენტური ნაშრომი და ჩამოყალიბებული აქვს მეცნიერ-მკვლევარის თვისებები; არის მეტად მრავალმხრივი მკვლევარი.
კენჭისყრა: ხმის მიცემის დროს სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარემ ქ. ხუციშვილმა საბჭოს წევრებს ჰკითხა თუ ვინ იყო მომხრე, ვინ - წინააღმდეგი და თავი ხომ არავის შეუკავებია. კენჭისყრის ჩატარების შემდეგ ქეთევან ხუციშვილმა განაცხადა, რომ გადაწყვეტილება მიღებულია ერთხმად.
დაადგინეს: საუნივერსიტეტო სადისერტაციო საბჭოს სხდომაზე გამართული მსჯელობისა და ღია ხმის მიცემის საფუძველზე დამტკიცდა სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისიის დასკვნა (შეფასება) და მიიღეს გადაწყვეტილება **რომანი აბრამიშვილისთვის** ფიზიკის დოქტორის აკადემიური ხარისხის მინიჭების შესახებ.

მოისმინეს: საუნივერსიტეტო სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარემ ქ. ხუციშვილმა საბჭოს დასამტკიცებლად წარუდგინა მედიცინის ფაკულტეტის დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის „კლინიკური და ტრანსლაციური მედიცინა“ დოქტორანტ **მარიამ პეტრიაშვილის** სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისიის დასკვნა (შეფასება) მედიცინის დოქტორის აკადემიური ხარისხის მინიჭებისათვის.
მოისმინეს: სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისიის თავმჯდომარემ, თსუ პროფესორმა რუსუდან ქარსელაძემ, საბჭოს მიაწოდა ინფორმაცია დისერტაციის - ,,ატოპიური დერმატიტის ფორმირების პროგნოზული კრიტერიუმები და პროფილაქტიკა ჩვილ

ბავშვთა პოპულაციაში“ - დაცვის პროცედურის, სამეცნიერო ღირებულების და პრაქტიკული მნიშვნელობის შესახებ; მან ისაუბრა დოქტორანტის გამოქვეყნებული პუბლიკაციების შესახებ, ასევე რეცენზენტების დადებით რეცენზიებზე; აღნიშნა, რომ დოქტორანტი არის პრაქტიკოსი ექიმი - ნეონატოლოგი, გავლილი აქვს არაერთი ტრენინგი, ჰარვარდის უნივერსიტეტის კურსი ამ მიმართულებით. რ. ქარსელაძემ აღნიშნა რომ დაცვას ესწრებოდა კომისიის 9 წევრი. წარმოდგენილი დისერტაცია შეფასდა 98 ქულით.

აზრი გამოთქვა: ეყრდნობოდა თუ არა დოქტორანტი გენეტიკურ კვლევებს?

მოისმინეს: დოქტორანტს არ გამოუყენებია გენეტიკური კვლევები.

კენჭისყრა: ხმის მიცემის დროს სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარემ ქ. ხუციშვილმა საბჭოს წევრებს ჰკითხა თუ ვინ იყო მომხრე, ვინ - წინააღმდეგი და თავი ხომ არავის შეუკავებია. კენჭისყრის ჩატარების შემდეგ ქეთევან ხუციშვილმა განაცხადა, რომ გადაწყვეტილება მიღებულია ერთხმად.

დაადგინეს: საუნივერსიტეტო სადისერტაციო საბჭოს სხდომაზე გამართული მსჯელობისა და ღია ხმის მიცემის საფუძველზე დამტკიცდა სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისიის დასკვნა (შეფასება) და მიიღეს გადაწყვეტილება **მარიამ პეტრიაშვილისთვის** მედიცინის დოქტორის აკადემიური ხარისხის მინიჭების შესახებ.

მოისმინეს: საუნივერსიტეტო სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარემ ქ. ხუციშვილმა საბჭოს დასამტკიცებლად წარუდგინა მედიცინის ფაკულტეტის დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის „კლინიკური და ტრანსლაციური მედიცინა“ დოქტორანტ **მაია ბერიძის** სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისიის დასკვნა (შეფასება) მედიცინის დოქტორის აკადემიური ხარისხის მინიჭებისათვის.

მოისმინეს: სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისიის თავმჯდომარის მოადგილემ, თსუ ასოც. პროფესორმა შალვა ფარულავამ, საბჭოს მიაწოდა ინფორმაცია დისერტაციის - ,,ესენციური და პირობით ესენციური მაკრო- და მიკროელემენტების გავლენა ბავშვთა სტომატოლოგიურ და ზოგად ჯანმრთელობაზე და მათი შემცველობის მონიტორინგი“ - დაცვის პროცედურის, სამეცნიერო ღირებულების და პრაქტიკული მნიშვნელობის შესახებ; აღნიშნა, რომ დოქტორანტი არის პრაქტიკოსი ექიმი, მუშაობს ბათუმში და შესაბამისად, ნაშრომიც იქ შესრულდა. მან ისაუბრა დოქტორანტის გამოქვეყნებული პუბლიკაციების შესახებ, ასევე რეცენზენტების დადებით რეცენზიებზე; აღნიშნა, რომ დაცვას ესწრებოდა კომისიის 5 წევრი. წარმოდგენილი დისერტაცია შეფასდა 99 ქულით.

კენჭისყრა: ხმის მიცემის დროს სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარემ ქ. ხუციშვილმა საბჭოს წევრებს ჰკითხა თუ ვინ იყო მომხრე, ვინ - წინააღმდეგი და თავი ხომ არავის შეუკავებია. კენჭისყრის ჩატარების შემდეგ ქეთევან ხუციშვილმა განაცხადა, რომ გადაწყვეტილება მიღებულია ერთხმად.

დაადგინეს: საუნივერსიტეტო სადისერტაციო საბჭოს სხდომაზე გამართული მსჯელობისა და ღია ხმის მიცემის საფუძველზე დამტკიცდა სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისიის დასკვნა (შეფასება) და მიიღეს გადაწყვეტილება **მაია ბერიძისთვის** მედიცინის დოქტორის აკადემიური ხარისხის მინიჭების შესახებ.

მოისმინეს: საუნივერსიტეტო სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარემ ქ. ხუციშვილმა საბჭოს დასამტკიცებლად წარუდგინა მედიცინის ფაკულტეტის დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის „კლინიკური და ტრანსლაციური მედიცინა“ დოქტორანტ **ლიკა კაცელაშვილის** სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისიის დასკვნა (შეფასება) მედიცინის დოქტორის აკადემიური ხარისხის მინიჭებისათვის.

მოისმინეს: სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისიის თავმჯდომარემ, თსუ ასისტენტ-პროფესორმა მიხეილ ჯანგავაძემ, საბჭოს მიაწოდა ინფორმაცია დისერტაციის - „ოპტიმალური პირველი ხაზის ქიმიოთერაპია მეტასტაზური ძუძუს კიბოს დროს“ - დაცვის პროცედურის, სამეცნიერო ღირებულების და პრაქტიკული მნიშვნელობის შესახებ; მან ისაუბრა დოქტორანტის გამოქვეყნებული პუბლიკაციების შესახებ, ასევე რეცენზენტების დადებით რეცენზიებზე; აღნიშნა, რომ დაცვას ესწრებოდა კომისიის 9 წევრი. წარმოდგენილი დისერტაცია შეფასდა 8 წევრის მიერ 95 ქულით.

აზრი გამოთქვა: თ. ჯობავამ აღნიშნა რომ დაესწრო დაცვას. სამეცნიერო დისკუსია იყო საინტერესო. დისერტანტმა საკმაოდ წარმატებულად წარმოადგინა ნაშრომი. კვლევის შედეგებიც საკმაოდ მნიშვნელოვანია.

კენჭისყრა: ხმის მიცემის დროს სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარემ ქ. ხუციშვილმა საბჭოს წევრებს ჰკითხა თუ ვინ იყო მომხრე, ვინ - წინააღმდეგი და თავი ხომ არავის შეუკავებია. კენჭისყრის ჩატარების შემდეგ ქეთევან ხუციშვილმა განაცხადა, რომ გადაწყვეტილება მიღებულია ერთხმად.

დაადგინეს: საუნივერსიტეტო სადისერტაციო საბჭოს სხდომაზე გამართული მსჯელობისა და ღია ხმის მიცემის საფუძველზე დამტკიცდა სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისიის დასკვნა (შეფასება) და მიიღეს გადაწყვეტილება **ლიკა კაცელაშვილისთვის** მედიცინის დოქტორის აკადემიური ხარისხის მინიჭების შესახებ.

მოისმინეს: საუნივერსიტეტო სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარემ ქ. ხუციშვილმა საბჭოს დასამტკიცებლად წარუდგინა მედიცინის ფაკულტეტის დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის „კლინიკური და ტრანსლაციური მედიცინა“ დოქტორანტ **ნინო ინაურის** სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისიის დასკვნა (შეფასება) მედიცინის დოქტორის აკადემიური ხარისხის მინიჭებისათვის.

მოისმინეს: სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისიის თავმჯდომარემ, თსუ პროფესორმა გია ლობჟანიძემ, საბჭოს მიაწოდა ინფორმაცია დისერტაციის - „საპერფუზიო აპარატით ღვიძლის (მანქანური) „in situ“ პროლონგირებული პრეზერვაცია“ - დაცვის პროცედურის, სამეცნიერო ღირებულების და პრაქტიკული მნიშვნელობის შესახებ; მან ისაუბრა დოქტორანტის საქმიანობის შესახებ - არის ექიმი და ეწევა პედაგოგიურ მუშაობას; გია ლობჟანიძემ ასევე ისაუბრა ნ. ინაურის გამოქვეყნებული პუბლიკაციების შესახებ, ასევე რეცენზენტების დადებით რეცენზიებზე; აღნიშნა, რომ დაცვას ესწრებოდა კომისიის 7 წევრი. წარმოდგენილი დისერტაცია შეფასდა 99,8 ქულით.

აზრი გამოთქვა: ლ. გოგიაშვილმა აღნიშნა, რომ ნინო ინაური არის ნეიროქირურგი და საუკეთესო ნაშრომი წარმოადგინა. მის მიერ შექმნილი აპარატი არის ინოვაციური.

კენჭისყრა: ხმის მიცემის დროს სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარემ ქ. ხუციშვილმა საბჭოს წევრებს ჰკითხა თუ ვინ იყო მომხრე, ვინ - წინააღმდეგი და თავი ხომ არავის შეუკავებია. კენჭისყრის ჩატარების შემდეგ ქეთევან ხუციშვილმა განაცხადა, რომ გადაწყვეტილება მიღებულია ერთხმად.
დაადგინეს: საუნივერსიტეტო სადისერტაციო საბჭოს სხდომაზე გამართული მსჯელობისა და ღია ხმის მიცემის საფუძველზე დამტკიცდა სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისიის დასკვნა (შეფასება) და მიიღეს გადაწყვეტილება **ნინო ინაურისთვის** მედიცინის დოქტორის აკადემიური ხარისხის მინიჭების შესახებ.

მოისმინეს: საუნივერსიტეტო სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარემ ქ. ხუციშვილმა საბჭოს დასამტკიცებლად წარუდგინა მედიცინის ფაკულტეტის დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის „კლინიკური და ტრანსლაციური მედიცინა“ დოქტორანტ **ივანე კილაძის** სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისიის დასკვნა (შეფასება) მედიცინის დოქტორის აკადემიური ხარისხის მინიჭებისათვის.
მოისმინეს: სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისიის თავმჯდომარის მოადგილემ, მედიცინის დოქტორმა დავით გიორგაძემ, საბჭოს მიაწოდა ინფორმაცია დისერტაციის - „ფილტვის არაწვრილუჯრედოვანი კიბოს (NSCLC) IIIA სტადიის დროს ქირურგიული მკურნალობის და ადიუვანტური ქიმიოთერაპიის შედარება დეფინიტიურ ქიმიო-რადიოთერაპიასთან“ - დაცვის პროცედურის, სამეცნიერო ღირებულების და პრაქტიკული მნიშვნელობის შესახებ; მან აღნისნა რომ დოქტორანტი არის პრაქტიკოსი ექიმი. ისაუბრა მისი გამოქვეყნებული პუბლიკაციების შესახებ, ასევე რეცენზენტების დადებით რეცენზიებზე; აღნიშნა, რომ დაცვას ესწრებოდა კომისიის 10 წევრი. წარმოდგენილი დისერტაცია შეფასდა 97 ქულით.
კენჭისყრა: ხმის მიცემის დროს სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარემ ქ. ხუციშვილმა საბჭოს წევრებს ჰკითხა თუ ვინ იყო მომხრე, ვინ - წინააღმდეგი და თავი ხომ არავის შეუკავებია. კენჭისყრის ჩატარების შემდეგ ქეთევან ხუციშვილმა განაცხადა, რომ გადაწყვეტილება მიღებულია ერთხმად.
დაადგინეს: საუნივერსიტეტო სადისერტაციო საბჭოს სხდომაზე გამართული მსჯელობისა და ღია ხმის მიცემის საფუძველზე დამტკიცდა სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისიის დასკვნა (შეფასება) და მიიღეს გადაწყვეტილება **ივანე კილაძისთვის** მედიცინის დოქტორის აკადემიური ხარისხის მინიჭების შესახებ.

მოისმინეს: საუნივერსიტეტო სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარემ ქ. ხუციშვილმა საბჭოს დასამტკიცებლად წარუდგინა მედიცინის ფაკულტეტის დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის „კლინიკური და ტრანსლაციური მედიცინა“ დოქტორანტ **ნინო რუხაძის** სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისიის დასკვნა (შეფასება) მედიცინის დოქტორის აკადემიური ხარისხის მინიჭებისათვის.
მოისმინეს: სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისიის თავმჯდომარემ, მედიცინის დოქტორმა მაია ლომთაძემ, საბჭოს მიაწოდა ინფორმაცია დისერტაციის -

„ჰოსპიტალიზაციის მიზეზები და გამოსავლები აივ/შიდსით პაციენტებში საქართველოში 2012-2017 წწ.“ - დაცვის პროცედურის, სამეცნიერო ღირებულების და პრაქტიკული მნიშვნელობის შესახებ; აღნიშნა რომ ნინო რუხაძე არის პრაქტიკოსი ექიმი და ნაშრომისთვის გამოიყენა საკუთარი კვლევები. მან ისაუბრა დოქტორანტის გამოქვეყნებული პუბლიკაციების შესახებ, ასევე რეცენზენტების დადებით რეცენზიებზე; აღნიშნა, რომ დაცვას ესწრებოდა კომისიის 7 წევრი. წარმოდგენილი დისერტაცია შეფასდა 99 ქულით.

აზრი გამოთქვა: ა. შენგელაიამ აღნიშნა, რომ მას შეექმნა შთაბეჭდილება, რომ დოქტორანტმა თითქოს სტატისტიკური სამუშაო ჩაატარა. რამდენად შეიცავს დისერტაცია სამეცნიერო სიახლეს?

მოისმინეს: მ. ლომთაძემ აღნიშნა რომ სამეცნიერო სიახლეები მოყვანილია ნაშრომში.

კენჭისყრა: ხმის მიცემის დროს სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარემ ქ. ხუციშვილმა საბჭოს წევრებს ჰკითხა თუ ვინ იყო მომხრე, ვინ - წინააღმდეგი და თავი ხომ არავის შეუკავებია. კენჭისყრის ჩატარების შემდეგ ქეთევან ხუციშვილმა განაცხადა, რომ გადაწყვეტილება მიღებულია ერთხმად.

დაადგინეს: საუნივერსიტეტო სადისერტაციო საბჭოს სხდომაზე გამართული მსჯელობისა და ღია ხმის მიცემის საფუძველზე დამტკიცდა სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისიის დასკვნა (შეფასება) და მიიღეს გადაწყვეტილება **ნინო რუხაძისთვის** მედიცინის დოქტორის აკადემიური ხარისხის მინიჭების შესახებ.

მოისმინეს: საუნივერსიტეტო სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარემ ქ. ხუციშვილმა საბჭოს დასამტკიცებლად წარუდგინა მედიცინის ფაკულტეტის დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის „კლინიკური და ტრანსლაციური მედიცინა“ დოქტორანტ **ხათუნა დონდოლაძის** სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისიის დასკვნა (შეფასება) მედიცინის დოქტორის აკადემიური ხარისხის მინიჭებისათვის.

მოისმინეს: სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისიის თავმჯდომარის მოადგილემ, ბიოლოგიის დოქტორმა გვანცა ჭკადუამ, საბჭოს მიაწოდა ინფორმაცია დისერტაციის - „ყოველდღიურ საყოფაცხოვრებო გარემოში არსებული არამაიონიზირებელი და მაიონიზირებელი რადიაციის მცირე დოზების მოქმედება შფოთვასა და მეხსიერებაზე“ - დაცვის პროცედურის, სამეცნიერო ღირებულების და პრაქტიკული მნიშვნელობის შესახებ; მან ისაუბრა დოქტორანტის გამოქვეყნებული პუბლიკაციების შესახებ, ასევე რეცენზენტების დადებით რეცენზიებზე; აღნიშნა, რომ დაცვას ესწრებოდა კომისიის 7 წევრი. წარმოდგენილი დისერტაცია შეფასდა 97,5 ქულით.

აზრი გამოთქვა: ე. ნადარაია დაინტერესდა დოქტორანტს შრომები თანაავტორობით თუ აქვს გამოქვეყნებული?

მოისმინეს: გ. ჭკადუამ უპასუხა რომ ნამდვილად აქვს თანაავტორობით შესრულებული ნაშრომები.

აზრი გამოთქვა: ა. შენგელაიამ აღნიშნა რომ გაეცნო ნაშრომს. დოქტორანტს უზარმაზარი შრომა აქვს შესრულებული, თუმცა ფიზიკის კუთხით ლაფსუსებია. სასურველი იყო ფიზიკოსისგან მიეღო კონსულტაციები.

მოისმინეს: გ. ჭკადუამ უპასუხა რომ ნაშრომი ბიო-ქიმიურ კვლევას ეყრდნობა.

აზრი გამოთქვა: თ. ჯობავამ აღნიშნა, რომ იზიარებს ა. შენგელაიას მოსაზრებას; სასურველი იყო ფიზიკოსის კონსულტაცია.
კენჭისყრა: ხმის მიცემის დროს სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარემ ქ. ხუციშვილმა საბჭოს წევრებს ჰკითხა თუ ვინ იყო მომხრე, ვინ - წინააღმდეგი და თავი ხომ არავის შეუკავებია. კენჭისყრის ჩატარების შემდეგ ქეთევან ხუციშვილმა განაცხადა, რომ გადაწყვეტილება მიღებულია ერთხმად.
დაადგინეს: საუნივერსიტეტო სადისერტაციო საბჭოს სხდომაზე გამართული მსჯელობისა და ღია ხმის მიცემის საფუძველზე დამტკიცდა სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისიის დასკვნა (შეფასება) და მიიღეს გადაწყვეტილება **ხათუნა დონდოლაძისთვის** მედიცინის დოქტორის აკადემიური ხარისხის მინიჭების შესახებ.

მოისმინეს: საუნივერსიტეტო სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარემ ქ. ხუციშვილმა საბჭოს დასამტკიცებლად წარუდგინა სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის „საზოგადოებრივი გეოგრაფია“ დოქტორანტ **დავით სიდამონიძის** სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისიის დასკვნა (შეფასება) საზოგადოებრივი გეოგრაფიის დოქტორის აკადემიური ხარისხის მინიჭებისათვის.
მოისმინეს: სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისიის თავმჯდომარემ, თსუ ასოც. პროფესორმა ნინო პავლიაშვილმა, საბჭოს მიაწოდა ინფორმაცია დისერტაციის - „საქართველოს სახმელეთო ტრანსპორტის ფუნქციონირებისა და განვითარების გეოგრაფიული კანონზომიერებები“ - დაცვის პროცედურის, სამეცნიერო ღირებულების და პრაქტიკული მნიშვნელობის შესახებ; მან ისაუბრა დოქტორანტის გამოქვეყნებული პუბლიკაციების შესახებ. აღნიშნა, რომ 3 რეცენზიიდან 2 იყო დადებითი, ხოლო ერთი - უარყოფითი. აღნიშნა, რომ დაცვას ესწრებოდა კომისიის 7 წევრიდან - 4. წარმოდგენილი დისერტაცია შეფასდა 53 ქულით.
აზრი გამოთქვა: ე. ნადარაიამ აღნიშნა რომ თავს შეიკავებს ხარისხის მინიჭების მხარდაჭერისგან.
კენჭისყრა: ხმის მიცემის დროს სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარემ ქ. ხუციშვილმა საბჭოს წევრებს ჰკითხა თუ ვინ იყო მომხრე, ვინ - წინააღმდეგი და თავი ხომ არავის შეუკავებია. კენჭისყრის ჩატარების შემდეგ ქეთევან ხუციშვილმა განაცხადა, რომ საბჭოს 14 წევრიდან თავი შეიკავა 3-მა (ე. ნადარაია, ი. ამირხანაშვილი, ა. შენგელაია), ხოლო 11 - მომხრე.
დაადგინეს: საუნივერსიტეტო სადისერტაციო საბჭოს სხდომაზე გამართული მსჯელობისა და ღია ხმის მიცემის საფუძველზე დამტკიცდა სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისიის დასკვნა (შეფასება) და მიიღეს გადაწყვეტილება **დავით სიდამონიძისთვის** საზოგადოებრივი გეოგრაფიის დოქტორის აკადემიური ხარისხის მინიჭების შესახებ.

მოისმინეს: საუნივერსიტეტო სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარემ ქ. ხუციშვილმა საბჭოს დასამტკიცებლად წარუდგინა ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის „ფილოლოგია“ დოქტორანტ **ნატო**

ახალაიას სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისიის დასკვნა (შეფასება) ფილოლოგიის დოქტორის აკადემიური ხარისხის მინიჭებისათვის.

მოისმინეს: სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისიის თავმჯდომარემ, თსუ ასოც. პროფესორმა მაია ლომიამ საბჭოს მიაწოდა ინფორმაცია დისერტაციის - „გვარის გრამატიკული კატეგორია მეგრულ-ლაზურში“ - დაცვის პროცედურის, სამეცნიერო ღირებულების და პრაქტიკული მნიშვნელობის შესახებ; მან ისაუბრა დოქტორანტის გამოქვეყნებული პუბლიკაციების შესახებ, ასევე რეცენზენტების დადებით რეცენზიებზე; აღნიშნა, რომ დაცვას ესწრებოდა კომისიის 9 წევრი. წარმოდგენილი დისერტაცია შეფასდა 100 ქულით.

კენჭისყრა: ხმის მიცემის დროს სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარემ ქ. ხუციშვილმა საბჭოს წევრებს ჰკითხა თუ ვინ იყო მომხრე, ვინ - წინააღმდეგი და თავი ხომ არავის შეუკავებია. კენჭისყრის ჩატარების შემდეგ ქეთევან ხუციშვილმა განაცხადა, რომ გადაწყვეტილება მიღებულია ერთხმად.

დაადგინეს: საუნივერსიტეტო სადისერტაციო საბჭოს სხდომაზე გამართული მსჯელობისა და ღია ხმის მიცემის საფუძველზე დამტკიცდა სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისიის დასკვნა (შეფასება) და მიიღეს გადაწყვეტილება **ნატო ახალაიასთვის** ფილოლოგიის დოქტორის აკადემიური ხარისხის მინიჭების შესახებ.

მოისმინეს: საუნივერსიტეტო სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარემ ქ. ხუციშვილმა საბჭოს დასამტკიცებლად წარუდგინა ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დოქტორანტურის პროგრამის „ეკონომიკა“ დოქტორანტ **თამარი მერმანიშვილის** სადისერტაციო ნაშრომის რეცენზენტები და დაცვის კომისია (თემა: ,,მიგრაციის როლი ევროკავშირის მოსახლეობის ფორმირებაში”; სამეცნიერო ხელმძღვანელი: თამაზ ზუბიაშვილი - თსუ ასოცირებული პროფესორი, ეკონომიკის დოქტორი).

აზრი გამოთქვა: ი. ანანიაშვილმა აღნიშნა, რომ რეცენზენტები და დაცვის კომისიის წევრები შერჩეულები არიან დოქტორანტების მინიმალური სტანდარტის პირობების შესაბამისად.

კენჭისყრა: ხმის მიცემის დროს სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარემ ქეთევან ხუციშვილმა საბჭოს წევრებს ჰკითხა თუ ვინ იყო მომხრე, ვინ - წინააღმდეგი და თავი ხომ არავის შეუკავებია. კენჭისყრის ჩატარების შემდეგ ქეთევან ხუციშვილმა განაცხადა, რომ გადაწყვეტილება მიღებულია ერთხმად.

დაადგინეს: დამტკიცდეს ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დოქტორანტურის პროგრამის „ეკონომიკა“ დოქტორანტ **თამარი მერმანიშვილის** სადისერტაციო ნაშრომის რეცენზენტები და დაცვის კომისია წარმოდგენილი შემადგენლობით:

რეცენზენტები:

ა) მამუკა თორია - კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის პროფესორი, ეკონომიკის დოქტორი;

ბ) მირონ ტუღუში - თსუ ასოცირებული პროფესორი, ეკონომიკის დოქტორი.

სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისია:

ა) მირიან ტუხაშვილი- თსუ პროფესორი, ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი;

ბ) რევაზ გველესიანი - თსუ პროფესორი, ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი;

გ) სიმონ გელაშვილი - თსუ პროფესორი, ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი;

დ) ეთერ ხარაიშვილი - თსუ პროფესორი, ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი;
ე) დალი სეხნიაშვილი - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორი, ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი;
ვ) ლელა ბახტაძე - თსუ ასოცირებული პროფესორი, ეკონომიკის დოქტორი;
ზ) ხათუნა ბერიშვილი - თსუ ასოცირებული პროფესორი, ეკონომიკის დოქტორი;
თ) შოთა ვეშაპიძე - თსუ ასოცირებული პროფესორი, ეკონომიკის დოქტორი;
ი) მანანა ლობჟანიძე - თსუ ასოცირებული პროფესორი, ეკონომიკის დოქტორი;
კ) მურმან ცარციძე - თსუ ასოცირებული პროფესორი, ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი;
ლ) რამაზ ფუტკარაძე - თსუ ასოცირებული პროფესორი, ეკონომიკის დოქტორი.

მოისმინეს: საუნივერსიტეტო სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარემ ქ. ხუციშვილმა საბჭოს დასამტკიცებლად წარუდგინა სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამა „საერთაშორისო ურთიერთობების“ დოქტორანტ **კონსტანტინე შუბითიძის** სადისერტაციო ნაშრომის რეცენზენტები და დაცვის კომისია (თემა: „საერთაშორისო სისტემაში მომხდარი ცვლილებების გავლენა ქართულ ნაციონალურ პროექტზე 1910-იან და 1980-იან წლებში (შედარებითი ანალიზი)“; სამეცნიერო ხელმძღვანელი: ზურაბ დავითაშვილი - თსუ პროფესორი).

კენჭისყრა: ხმის მიცემის დროს სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარემ ქეთევან ხუციშვილმა საბჭოს წევრებს ჰკითხა თუ ვინ იყო მომხრე, ვინ - წინააღმდეგი და თავი ხომ არავის შეუკავებია. კენჭისყრის ჩატარების შემდეგ ქეთევან ხუციშვილმა განაცხადა, რომ გადაწყვეტილება მიღებულია ერთხმად.

დაადგინეს: დამტკიცდეს სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის „საერთაშორისო ურთიერთობები“ დოქტორანტ **კონსტანტინე შუბითიძის** სადისერტაციო ნაშრომის რეცენზენტები და დაცვის კომისია წარმოდგენილი შემადგენლობით:

რეცენზენტები:

ა) ფიქრია ასანიშვილი - პოლიტიკის დოქტორი, თსუ საერთაშორისო ურთიერთობის დეპარტამენტის ასოც. პროფესორი;
ბ) ნინო ფავლენიშვილი – პოლიტიკის დოქტორი, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი;
გ) უოლთ კილროი - პოლიტიკის მეცნიერების დოქტორი, საერთაშორისო კონფლიქტების რეზოლუციისა და რეკონსტრუქციის ინსტიტუტის ასოცირებული დირექტორი, დუბლინის უნივერსიტეტის სამართლისა და მმართველობის სკოლის ასისტენტ-პროფესორი.

სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისია:

ა) თორნიკე თურმანიძე - საერთაშორისო ურთიერთობების დოქტორი, თსუ საერთაშორისო ურთიერთობის დეპარტამენტის პროფესორი;
ბ) ეკა აკობია - საერთაშორისო ურთიერთობების დოქტორი, თსუ საერთაშორისო ურთიერთობის დეპარტამენტის ასოც. პროფესორი;

გ) დავით მაცაბერიძე - პოლიტიკის დოქტორი, თსუ საერთაშორისო ურთიერთობის დეპარტამენტის ასოც. პროფესორი;

დ) ნიკოლოზ სამხარაძე - საერთაშორისო ურთიერთობების დოქტორი, თსუ საერთაშორისო ურთიერთობის დეპარტამენტის ასოც. პროფესორი;

ე) ივანე წერეთელი - ისტორიის დოქტორი, თსუ ჰუმანიტარული ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი;

ვ) ლაშა ძებისაშვილი - პოლიტიკის დოქტორი, საქართველოს უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი;

ზ) გიორგი გვალია - პოლიტიკის დოქტორი, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი.

საუნივერსიტეტო სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარე,
ქეთევან ხუციშვილი



საუნივერსიტეტო სადისერტაციო საბჭოს მდივანი,
მორის შალიკაშვილი